აჭარის ტელევიზია და რადიო
საზოგადოებრივი მაუწყებელი

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

# აჭარის ტელევიზია და რადიო

# წლიური ანგარიში 2016

ბათუმი

სარჩევი


- ❖ შესავალი
- ❖ 2016 წლის ძირითადი სიახლეები
- ❖ 2016 წლის გამოწვევები
- ❖ ახალი ამბები და მაუწყებელი
- ❖ შემოქმედება და მაუწყებელი
- - დოკუმენტური ფილმები
- - საავტორო გადაცემები
- - თოქ-შოუ პირდაპირი ეთერით
- - 2017 წელს ბადეში გასაგრძელებელი პროექტები
- ❖ 2016 წელს აჭარის რადიოს ძირითადი აქტივობები
- - საავტორო გადაცემები
- - თოქ-შოუ პირდაპირი ეთერით
- - 2017 წელს ბადეში გასაგრძელებელი პროექტები
- ❖ ვებ პლატფორმისა და სოციალური ქსელის ანალიტიკა
- ❖ თვითრეგულირების ფარგლებში განხილული საჩივრები
- ❖ დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები
- ❖ საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოები
- ❖ საჯარო განხილვების შინაარსი და მოქალაქეთა წინადადებები
- - საჯარო განხილვები
- - პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის აღნიშვნა
- - 3 წელი საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსიდან
- - მოქალაქეთა წინადადებები
- ❖ დოკუმენტბრუნვა მაუწყებელში
- ❖ ფოკუს ჯგუფები
- ❖ გასვლითი კვლევითი პროგრამა
- ❖ მოქალაქეთა ინფორმირებულობა
- ❖ სატელევიზიო რეიტინგები
- ❖ ადამიანური რესურსების მართვა მაუწყებელში
- ❖ სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავება
- - წინასაარჩევნო ტრენინგები ახალი ამბების სამსახურისთვის
- ❖
- ❖ შიდა შეხვედრები
- ❖ 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში
- ❖ აუდიტის ანგარიში
- ❖ შეჯამება

## ❖ შესავალი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო (შემდგომში „მაუწყებელი“) პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნითაა დაფუძნებული.

ორგანიზაცია საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

მაუწყებლის საქმიანობის თავისუფლება, ინტერესის სფერო და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით და მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი პროგრამული პრიორიტეტებით.

მაუწყებლის მთავარი ვალდებულებებია[1]:

ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;

ბ) უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;

გ) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

დ) საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები;

ე) პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;

ვ) ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;

ზ) ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით;

თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;

ი) ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;

კ) გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ

---

1 „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 16

არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;

ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;

მ) სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები.

ნ) უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია;

ო) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

2016 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ ჩატარებული სამუშაოები დაიგეგმა და სრულდებოდა სწორედ ზემოჩამოთვლილი უფლებამოსილებების ფარგლებში.

## 2016 წლის ძირითადი სიახლეები

**მაუწყებლის ორგანიზაციული განვითარებაზე ზრუნვა და სტრატეგიული დაგეგმარების დაწყება**

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განახლდა მაუწყებლის სტრუქტურა
- შეიცვალა შიდასამუშაოების დაგეგმარების სპეციფიკა

**საზოგადოებასთან უკუკავშირი**

- შეიქმნა ფოკუსჯგუფები
- ჩატარდა კვლევები და გამოკითხვები
- გუნდური მუშაობის ახლებურად დაიგეგმა

**ძირითადი სიახლეები**

- 2016 წლის 19 დეკემბერიდან მაუწყებელს ახალი ბრენდი აქვს
- 2016 წლის 21 დეკემბერს შეიცვლა მაუწყებლის დირექტორი
- 2016 წლის 25 დეკემბერს განახლდა სატელევიზიო სეზონი

## ❖ 2016 წლის გამოწვევები

**შენობა-ნაგებობის საკითხის გადაწყვეტა**

- დღემდე მაუწყებელს არ გააჩნია შენობა-ნაგებობა
- განთავსების ადგილი არ არის ადაპტირებული მედიასაქმიანობისათვის
- არ არის დაცული თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოება
- არ არის სათანადოდ დაცული ტექნიკა

**ადამიანური რესურსების მხარდაჭერა**

- გაუმართავია ადამიანური რესურსების მართვის საკითხი
- დაბალია ანგარიშვალდებულების ხარისხი
- არ არსებობს შრომითი ანაზღაურების სამართლიანი განგარიშება

**სტრატეგიული განვითარების დასრულება**

- საჭიროა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვის შემუშავება
- მნიშვნელოვანია სტრუქტურის საბოლოო გამართვა
- უნდა მოხდეს შემოსავლების ზრდა - სწორი მარკეტინგული განგარიშება

## ❖ ახალი ამბები და მაუწყებელი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ახალი ამბების მომზადება, დროული გავრცელება და ამ გზით, საზოგადოების ინფორმირებულობა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდა. დაინტერესებული პირებისათვის მაუწყებლის მიერ შეგროვებული ინფორმაციის გაცნობა კვლავაც შესაძლებელი იყო ტელე, რადიო და ინტერნეტპლატფორმების (WEB, FACEBOOK) მეშვეობით.

მაუწყებლის ახალი ამბების სამსახური გაერთიანებული ნიუსრუმის ფორმატში მუშაობდა, რაც ნიშნავს ტელე და რადიო მიმართულებით მომუშავე გუნდების გაერთიანებას ინფორმაციის წვდომისა და ფართო დაფარვის მიზნით.

ამასთანავე მაუწყებლის ახალი ამბები ტრანსლირება FACEBOOK LIVE-ის მეშვეობით დაიწყო, რაც მნიშვნელოვან სიახლეს და შეთავაზებას წარმოადგენდა ქართულ მედიაბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ ახალი ამბების გაშუქების დინამიკა და ინტერესების სფერო მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილ პრიორიტეტებზე და ერთობლივ არჩევანზე, რომლის თანახმადაც „საზოგადოებრივი მაუწყებლის და შესაბამისად მოცემული პრიორიტეტებით აჭარის რადიოსათვის დადასტურებული ამოცანაა საზოგადოებას მიაწოდოს ქვეყანაში, განსაკუთრებით რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, კულტურული, სპორტული და სხვა ტიპის საქმიანობაზე, საქმიანობის შედეგებზე, გეგმებსა და ზრახვებზე მიუკერძოებელი, დაინტერესებული ან ძალაუფლების მატარებელი სამყაროს გავლენისაგან სრულიად თავისუფალი, ფაქტებზე დაფუძნებული, საპირისპირო ხედვების ზოგად პრიზმაში გააზრებული ინფორმაცია. რომელიც ხელს შეუწყობს მსმენელს ინფორმაცია აღიქვას მთლიან კონტექსტში."[2]

მაუწყებლის გუნდის მიერ მოპოვებული ახალი ამბები რადიოს გადაცემების ბადეში თავსდებოდა ყოველი საათის დასაწყისში. დილის 10 საათიდან ღამის 21 საათამდე.

ბუნებრივია, მაუწყებლის ახალი ამბების მიმართულების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო 2016 წლის საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების გაშუქებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის სისტემურ დაკვირვებას ახორციელებდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია[3] და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია[4]ყველა მონაცემების თანახმად, მაუწყებელმა, როგორც სატელევიზიო, ისე რადიოს მიმართულებით, დააკმაყოფილა არჩევნების გაშუქების საერთო სტანდარტი, ბალანსის დინამიკა იყო ზრდადი და შინაარსზე ორიენტირებული.

---

[2] სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამული პრიორიტეტი. 2016-2017 წლები. http://ajaratv.ge/files/attach/22222222.pdf

[3] www.gncc.ge საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

[4] www.qartia.org.ge საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

## ❖ შემოქმედება და მაუწყებელი

საანგარიშო პერიოდისათვის (2016 წელი) აჭარის ტელევიზიის ეთერით გადაიცემოდა შემდეგი პროგრამები:

### დოკუმენტური ფილმები:

მაღალხარისხიანი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით აქტუალური ხასიათის დოკუმენტური ფილმები აჭარის ტელევიზიის ერთ-ერთი პრიორიტეტია[5]. ფილმების თემატიკის და ხარისხის შესაბამისობა ტელევიზიის პრიორიტეტების მიხედვით იყო შედგენილი. ამ დროის განმავლობაში მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა ჩვენი ეთერით ენახა საავტორო დოკუმენტური ფილმები:

1. „სახლი ბათუმში" - ეთნიკური უმცირისობები" - ავტორი შოთა გურაბანიძე
2. „ცნობილი ადამიანები" და სხვა თემატიკა - ავტორი ოლღა ჟღენტი ;
3. ეთნოკულტურის პოპულარიზაცია, ადგილობრივი მუსიკალური ჯგუფების წარმოჩენა - ავტორი გიორგი დიასამიძე;
4. ფილმები ისტორიული ადგილების შესახებ და ხელოვნებისა და კულტურის თემა - ავტორი შოთა გუჯაბიძე;
5. დოკუმენტური ფილმების ციკლი საქართველოს ისტორიულ წარსულზე - ავტორი ნერონ აბულაძე (თვეში 2 გადაცემა).

### საავტორო გადაცემები:

აჭარის ტელევიზიაში საავტორო გადაცემების მომზადების მიზანი საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდება იყო.

საანგარიშო პერიოდში აჭარის ტელევიზიაში მომზადდა შემდეგი საავტორო გადაცემები:

1. „ინფოტური" - ავტორი ლეილა შავიშვილი. (თვეში ორი გადაცემა) გადაცემის ძირითადი სეგმენტი - ტურიზმის ბიზნესში ჩართული მეწარმეები და ფიზიკური პირები. (პროექტი დასრულდა 2016 წ სექტემბერში);
2. „ეთნოფორი" - ავტორი მიხეილ გაბაიძე. (თვეში ოთხი გადაცემა) ფორმატი ქართული ეთნოკულტურის (ხალხური სიმღერა, საკრავები, ცეკვის, ფერხულის უძველესი ფორმები, ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებები) პოპულარიზაცია. ეთნოფორი - ადამიანი, რომელიც თავისი ძველი ყოფითი წეს-ჩვეულებებითა თუ თვითშემოქმედებით წარმოადგენს ეთნიკურ სახეს, რაც გადაცემის მთავარი დანიშნულებაცაა;
3. „სცენა" - ავტორი ინგა ხალვაში. (თვეში ოთხი გადაცემა) ყველაფერი სცენის/თეატრალური ცხოვრების ირგვლივ - მუსიკა, თეატრი, ქორეოგრაფია, ფოლკლორი, წარსული და დღევანდელობა, ფაქტი და კომენტარი, პრიორიტეტი, ძიება, ექსპერიმენტი, წარმატება და მარცხი, საშემსრულებლო ხელოვნების მეცნიერული ანალიზი და შეფასება;
4. „ბუნების კანონი" - ავტორი ირაკლი მსხილაძე. (თვეში სამი გადაცემა) გადაცემა მოგვითხრობს ეკოლოგიური პრობლემების შესახებ;
5. „ერთი დღე სოფელში" - ავტორი ნათია თავდგირიძე. (თვეში ორი გადაცემა) ერთი სოფლის კულტურა და ტრადიცია, სოფლის ცხოვრების პოპულარიზაცია და ისტორია, შემორჩენილი სიძველეების აღმოჩენა და სოფელში მცხოვრებ პირთა თანამედროვე ყოფა-ცხოვრების გაშუქება;
6. „თეთრი კვადრატი" - ავტორი გიორგი გოგიბერიძე. (თვეში ერთი გადაცემა) გადაცემა მოგვითხრობს კინოფესტივალებზე, რეჟისორებზე, გადაცემის ფორმატში მოიცავს ფილმის ჩვენებას;

---

[5] http://ajaratv.ge/files/attach/11111111.pdf

7. „პროექცია" - ავტორი ზვიად სირაბიძე. (თვეში ოთხი გადაცემა) გადაცემაში წარმატებული ადამიანები საუბრობენ თავის ცხოვრებაზე, მიღწეულ წარმატებებსა და სირთულეებზე. პროექტში წარმოჩენილია პიროვნების სულიერი სამყარო, რაც მაყურებელს მისი უკეთ გაცნობის შესაძლებლობას აძლევს;

8. „ბიბლიოთეკა" - ავტორი მარიამ კორინთელი. (თვეში ოთხი გადაცემა) ახალი წიგნების წარდგენა და საინტერესო სტუმრები;

9. „სპეცრეპორტაჟი" ავტორი ემზარ დიასამიძე. (თვეში ერთი) - გადაცემის ფორმატია ჟურნალისტური გამოძიება;

10. „ტელესპექტაკლი" - ავტორი ნერონ აბულაძე. (თვეში ერთი სპექტაკლი) გადაცემა ეთმობა თეატრს და თეატრალურ ცხოვრებას.

თოქ-შოუ პირდაპირი ეთერით:

1. „ადვოკატის რჩევები" - ავტორი გიორგი ხიმშიაშვილი. (ყოველკვირეული) გადაცემა "ადვოკატის რჩევები" ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" და მაუწყებლის ერთობლივი პროექტს წარმოადგენდა. გადაცემა იურიდიული თემატიკის იყო და საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობას ისახავდა მიზნად (პროექტი იყო ბადეში განთავსებული 2016 წ აგვისტოს ჩათვლით);

2. „სპორტი" - ავტორი რეზო ჯინჭარაძე. (ყოველკვირეული) სპორტული, ყოველკვირეული გადაცემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სპორტის სახეობების პოპულარიზაციას. გადაცემაში ყურადღება გამახვილდება ამ სფეროში არსებულ პრობლემატიკასა და მისი გადაჭრის გზების ძიებაზე. სიახლეები, საინტერესო სტუმრები;

3. „ეკონომისტი" - ავტორი პაატა ჩაგანავა. (ყოველკვირეული) ეკონომიკისა და ბიზნესის სიახლეები, აქტუალური პრობლემების ანალიზი და ეკონომისტთა შეფასებები. (პროექტი იყო ბადეში განთავსებული 2016 წ ივლისის ჩათვლით);

4. „არტეოგრამა" - ავტორი ხათუნა მანაგაძე. (ყოველკვირეული) კულტურულ ცხოვრებაში არსებული პოზიტიური და პრობლემური მხარეები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის სპეციფიკა, მისი არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობები, კულტურისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხები. (პროექტი იყო ბადეში 2016 წ ივლისის ჩათვლით);

5. „პარადიგმა" - ავტორი ნანა მაკარაძე. (ყოველკვირეული) განათლების სფეროს ყველაზე აქტუალური საკითხების, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებისა და ცვლილებების გაცნობა, ანალიზი და შეფასება. (პროექტი იყო ბადეში 2016 წ ივლისის ჩათვლით);

6. „მე ვარ ფერმერი" - ავტორი გიორგი სურმანიძე. (ყოველკვირეული) 10 თოქ-შოუ სოფლის მეურნეობის საკითხებზე ფერმერებისთვის და ფერმერების მონაწილეობით - აქტუალური თემები, სიუჟეტები და დისკუსია პირდაპირ ეთერში. (პროექტი იყო ბადეში 2016 წ ივლისის ჩათვლით);

7. „იმპულსი" - ავტორი ირაკლი ფარულავა. (ყოველკვირეული) მედიცინის ყველაზე საინტერესო სიახლეები, 21-ე საუკუნის ინოვაციური ტექნოლოგიები - გადაცემაში "იმპულსი". გადაცემის მნიშვნელოვანი ნაწილია სიუჟეტი მთავარ თემაზე, რომელიც სტუდიაში სტუმრით გაგრძელდება;

8. „დილა" - ხელმძღვანელი ჯემალ ლამპარაძე. (ყოველ შაბათსა და კვირას);

9. „პირისპირ" ავტორი ცოტნე ანანიძე (კვირაში ერთჯერ) - გადაცემის ფორმატი იყო დიალოგი პოლიტიკოსებთან და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ პირებთან. (პროექტი ბადეში განთავსებული იყო 2016 წლის სექტემბრამდე);

10. „ფაქტორი" - ავტორი ლაშა ზარგინავა (კვირაში ერთჯერ) - გადაცემის ფორმატი აქტუალურ საკითხებზე დისკუსიების გამართვაა.

საავტორო გადაცემების, დოკუმენტური ფილმების და თოქ-შოუების გარდა ბადეში განთავსებული იყო:

- მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმები, სერიალები;
- საქართველოს უმაღლესი ლიგის საფეხბურთო მატჩები, რომელშიც მონაწილეობს ბათუმის „დინამო" და ქობულეთის „შუქურა";

- საქველმოქმედო კონცერტები-საღამოები (პირდაპირი ან ჩანაწერი);
- ოფიციალური ღონისძიებები.

2016 წლის 26 დეკემბრიდან ამოქმედდა განახლებული ბადე. განახლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ერთ-ერთი საკვანძო პრიორიტეტის - სოციალური თემატიკის წინ წამოწევა და გაძლიერება. რადგან „აჭარის ტელევიზიამ საეთერო ბადეში განთავსებული გადაცემებით უნდა დაძლიოს რეგიონის ქალაქების ურბანული, სამშენებლო, სატრანსპორტო, ასევე სოფლის ცხოვრების, ტრადიციული სამეურნეო დარგებისა და ახალი კულტურების დაფუძნების, საგზაო, სატრანსპორტო, სამედიცინო და განათლებასთან დაკავშირებული თემები. უნდა წარმოჩნდეს რამდენადაა დამოკიდებული მოსახლეობა სახელმწიფო სპეციალური პროგრამებისა და ზოგადი სერვისების მიწოდებაზე და რამდენად უნარიანია თავად უმკლავდებოდეს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას უბანი, სოფელი, თემი. რამდენადაა შენარჩუნებული შრომის ორგანიზაციის ტრადიციული ფორმები საერთო ამოცანების გადასაჭრელად. ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების, განსაკუთრებით ახალგაზრდების შრომაში ჩართვის, თვითდასაქმების, ასევე დასაქმებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხს. უნდა წარმოჩნდნენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფებიდან კონკრეტული ადამიანები, თავიანთი წარმატებებით, სიძნელეებითა და პერსპექტივებით. ტელევიზიის ამ მიმართულების პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ: რეგიონში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა; ჯანმრთელობის დაცვის მიღწევები და პრობლემები. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, ასევე სადაზღვევო კომპანიების სერვისების ხარისხისა და შესაბამისობის თემები. შშმ საზოგადოების, გენდერული, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საკითხები.[6]

დასახული მიზნების მისაღწევად 2016 წლის დეკემბრიდან დაიწყო ახალი გადაცემები:

1. თოქ-შოუ #ჰეშთეგი - ავტორი გიორგი მურვანიძე. გადაცემა გათვალისწინებულია ბადეში ყოველ დღე (შაბათი, კვირის გარდა) - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი სოციალური ტელე-პროექტია, რომელიც აშუქებს თუ რამდენადაა დამოკიდებული მოსახლეობა სახელმწიფო სპეციალური პროგრამებისა და ზოგადი სერვისების მიწოდებაზე და რამდენად უნარიანია თავად უმკლავდებოდეს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას მისი სოციუმი და სოციალური გარემო, რამდენადაა მისაღები დასაქმების პირობები, ყურადღება ექცევა დასაქმების, განსაკუთრებით ახალგაზრდების შრომაში ჩართვის, თვითდასაქმების, ასევე დასაქმებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხს. საეთერო დრო ეთმობა ადამიანებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებიდან, საზოგადოების ყველა წრიდან ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ თავიანთ წარმატებებზე, სიძნელეებზე და პერსპექტივებზე;
2. "რჩეული ფრაგმენტები" - ავტორი ამირან ქავთარაძე. (თვეში 4 გადაცემა). ეს არის მინიფილმების სერია იმ ადამიანებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინეს აჭარის განვითარებასა და წარმატებაში;
3. "უცხო სუნელი" - გადაცემის წამყვანი და ავტორი ალექსანდრე თხილაშვილი. (თვეში 4 გადაცემა) . გადაცემის მიზანია ქართული სამზარეულოს პოპულარიზაცია;
4. "ეკომიგრაცია" - ავტორი სოსო სტურუა (თვეში 4 გადაცემა) გადაცემა ასახავს ეკომიგრანტებისა და პოტენციური ეკომიგრანტების მდგომარეობას საქართველოში, იმ ადამიანების დღევანდელი ყოფა და მომავალი, რომელთა საცხოვრებელ სახლებს უკვე შეეხო, ან არის ალბათობა, რომ მომავალში შეეხება ეკოლოგიური საფრთხე. ამ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს გაგვაცნობს დოკუმენტური ფილმების ციკლი - „ეკომიგრაცია საქართველოში" სატელევიზიო პროგრამა მზადდება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ პროექტის „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კამპანია" ფარგლებში. პროექტს ახორციელებს დემოკრატიის ინსტიტუტი და ევროპის ფონდი. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირისა (EU) და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (შიდა) მიერ. სატელევიზიო პროგრამა მოიცავს 15 დოკუმენტურ ფილმს.

[6] „პროგრამული პრიორიტეტები 2016-2017"

## 2017 წ ბადეში გასაგრძელებული პროექტები:

1. დოკუმენტური ფილმი -კულტურული მემკვიდრეობა და მასთან დაკავშირებული ისტორიები - ავტორი ოლღა ჟღენტი (წელიწადში 11 ფილმი);
2. დოკუმენტური ფილმი - რელიგიურ თემატიკაზე, სხვა და სხვა რელიგიის წარმომადგენლებზე - ავტორი გიორგი დიასამიძე (წელიწადში 11 ფილმი);
3. დოკუმენტური ფილმი - რეგიონის გამოჩენილი და საინტერესო ადამიანები და მათი ისტორიები - ავტორი შოთა გუჯაბიძე. (წელიწადში 6 ფილმი);
4. დოკუმენტური ფილმი - სპორტული მოვლენების მიმდინარე ან ისტორიული აღწერა და რეგიონთან დაკავშირებული ისტორიები სპორტცმენებზე - ავტორი ანზორ ქათამაძე (წელიწადში 11 ფილმი);
5. დოკუმენტური ფილმი - ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოს ტერიტორიაზე - ავტორი ნერონ აბულაძე (წელიწადში 11 ფილმი);
6. „ეთნოფორი" - ავტორი მიხეილ გაბაიძე. (თვეში ოთხი გადაცემა);
7. „სცენა" - ავტორი ინგა ხალვაში. (თვეში ოთხი გადაცემა);
8. „ბუნების კანონი" ავტორი ირაკლი მსხილაძე. (თვეში სამი გადაცემა);
9. „ერთი დღე სოფელში" ავტორი ნათია თავდგირიძე. (თვეში ორი გადაცემა);
10. „თეთრი კვადრატი" ავტორი გიორგი გოგიბერიძე. (თვეში ოთხი გადაცემა);
11. „პროექცია" ავტორი ზვიად სირაბიძე. (თვეში ოთხი გადაცემა);
12. „მე ვარ ფერმერი" (ყოველკვირეული) გადაცემა;
13. „ტელესპექტაკლი" - ავტორი ნერონ აბულაძე. (თვეში ერთი სპექტაკლი).

## ტოქ-შოუ პირდაპირი ეთერით:

„სპორტი" - ყოველკვირეული გადაცემა სპორტის შესახებ;

„იმპულსი" - ყოველკვირეული გადაცემა მედიცინის შესახებ;

თოქ-შოუ #ჰეშთეგი - მაუწყებლის პირველი სოციალური ტელე-პროექტი;

"დილის ტალღა" - შაბათ-კვირის შემეცნებით-გასართობი გადაცემა;

5. „ფაქტორი რუსუდან აბაშიძესთან ერთად" - დისკუსიები პოლიტიკურ და აქტუალურ საკითხებზე, კვირაში ერთხელ.

უახლოეს პერსპექტივაში ბადეში განთვსებული იქნება შემდეგი სატელევიზიო პროექტები:

1. "რამდენიმე ეპიზოდი ანუ სურათი" - პროექტი ვიზუალურ ხელოვნების წარმომადგენლებზე. ავტორები: ლალი ბერძენიშვილი, შოთა გუჯაბიძე
2. არტები - სატელევიზიო და რადიოს ოქროს ფონდი - ავტორი გენრი დოლიძე
3. ტოქ-შოუ კულტურაზე - ავტორი ხათუნა მანაგაძე

## ❖ 2016 წელს აჭარის რადიოს ძირითადი აქტივობები

საანგარიშო პერიოდისათვის (2016-2017 წელი) აჭარის რადიოს ეთერით გადაიცემოდა შემდეგი პროგრამები:

**საავტორო გადაცემები:**

საანგარიშო პერიოდში აჭარის რადიოში მომზადდა შემდეგი საავტორო გადაცემები:

- „შაბათიდან შაბათამდე“ ავტორი ნინო სადრაძე (თვეში ოთხი გადაცემა) - პროექტი მსოფლიოში მიმდინარე შოუბიზნესისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების ყოველკვირეულ შეჯამებას აკეთებს;
- „პერსონა“ ავტორი ინგა მეზონია (თვეში ოთხი გადაცემა) - პროექტი მოგვითხრობს რეგიონში მოღვაწე საინტერესო პერსონების შესახებ.( პროექტი დაიხურა 2016 წლის 20 ივნისს);
- „ლიტერატურული პორტრეტები“ ავტორი გენრი დოლიძე (დამზადდა 80 გადაცემა და პერიოდულად ჩაეშვა ბადეში) ბლიც-ინტერვიუს ფორმატით ავტორმა გაგვაცნო საქართველოს მაშტაბით მოღვაწე ცნობილი და დამწყები მწერლები. პროექტი დაიხურა 2016 წლის ივლისში;
- „ქალი და არჩევნები“ ავტორი თამილა დოლიძე (თვეში ოთხი გადაცემა) - ქალთა ჩართულობა საარჩევნო პროცესში, რეგიონული მედია გენდერულ ჭრილში,არჩევნების მსოფლიო პრაქტიკა და ქალები და ა .შ. (პროექტი დაიხურა 2016 წლის ოქტომბერში;
- „კანონი და მოქალაქე“ ავტორი ნინო ჩხეტია / გადაცემა იურიდიული თემატიკისაა და მიზნად ისახავს მაყურებელს მიაწოდოს პირველადი და გადაუდებელი იურიდიული რჩევები, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ეფექტიანად გამოიყენონ კანონმდებლობა მათი უფლებების დასაცავად. (ყოველკვირეული ჟურნალი ) პროექტი დაიხურა 2016 წლის აგვისტოში;
- „ფერმერის 5 წუთი“ ავტორი ნოდარ ცეცხლაძე / გადაცემა სოფლის მეურნეობის საკითხებზე, ფერმერებისთვის.

**თოქ-შოუ პირდაპირი ეთერით:**

- „ინდიკატორი“ (პოლიტიკური თოკ-შოუ) ავტორი ტარიელ ცეცხლაძე /რეგიონში მიმდინარე აქტუალურ თემებზე დისკუსიების გამართვა. ( კვირაში ორი გადაცემა);
- „კომპეტენტური პასუხი“ (პოლიტიკური თოქ-შოუ) ავტორი მაია ვარშანიძე / პოლიტიკური დებატები. ( კვირაში სამი გადაცემა);
- „ღია ეთერი“ ავტორი ირმა ჩხაიძე / რეგიონში მიმდინარე სოციალურ ეკონომიკური პრობლემების და მასთან დაკავშირებული პროექტების გაანალიზება. (თვეში ოთხი გადაცემა );
- „დილა 104.5-ზე“ დილის გასართობ-შემეცნებითი პროგრამა ( ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა).

მომდევნო წელს რადიოს საეთერო ბადეში ჩაეშვება ახალი პროექტები:

- სპორტული თოქ-შოუ გოგი მურვანიძესთან ერთად;
- შეივსება ღამის ეთერის საავტორო მუსიკალურ-შემეცნებითი საეთერო ზოლი (RJ/მუსიკალური წამყვანებით);
- განხორციელდება რადიოს ვიზუალიზაციის პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს ერთგულ მომხმარებელს თვალყური გვადევნოს ინტერნეტ პლატფორმის საშუალებითაც.

დამატებითი ინფორმაცია: გასათვალისწინებელია, რომ მაუწყებლის ეთერში იგეგმება ახალი გადაცემები, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთდება სოციალურ საკითხებზე დისკუსიების წარმართვის, განათლების, სპორტისა და ტურიზმის სფეროების კიდევ უფრო სიღრმისეულ გაშუქებაზე. ამასთანავე 2017 წლის 01-20 აპრილი გამოცხადდა შიდა იდეების შეგროვების

პერიოდად. ამ აქტივობის და მოკლევადიანი/გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვის მიხედვით მოხდება განახლებული სეზონის დაგეგმვა და ბადის გაწყობა.

## ❖ ვებ პლატფორმისა და სოციალური ქსელის ანალიტიკა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკვლევი ობიექტი იყო აჭარის ტელევიზიის ფეისბუქ გვერდი. ამ სამუშაოების ფარგლებში გაანალიზდა მომხმარებლებისათვის წერილის მიწერის სტანდარტები, სიხშირე, შინაარსი და კონსტრუქციულობა. სამუშაო გუნდმა ასევე შეისწავლა გვერდის მოწონებებისა და პოსტებზე რეაქციების სტატისტიკა და დინამიკა.

აღსანიშნავია, რომ ფეისბუქ-გვერდის მომწონებლების მთლიანი წლიური ზრდა შეადგენს 12 000 ლაიქერს, რაც მთლიანი მონაცემებით, ფეისბუქზე წლიურ 150%-იან მატებას ნიშნავს.

ვებ-გვერდის WWW.AJARATV.GE ანალიზის შემდეგ გაიზარდა მომხმარებელთა, უნიკალურ მომხმარებელთა რაოდენობები, ინფორმაციის წვდომის დინამიკა და საშუალო დროითი გაჩერება საიტზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოწვევად დარჩა აჭარის რადიოს ვებ გვერდის გამართვა, ისევე როგორც სოციალური ქსელების მართვის პოლიტიკის შემუშავება.

მაუწყებელმა დაიწყო ფოტო, ვიდეო, წერილობითი ბლოგებისათვის სივრცის გამართვა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მოსაზრებების გამოთქმას და დაეთმობა საზოგადოების გამოხატვის თავისუფლებას.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აჭარის ტელევიზიის და აჭარის რადიოს ლინკები განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის[7] ყველა ვებ გვერდზე.

## ❖ თვითრეგულირების ფარგლებში განხილული საჩივრები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის თვითრეგულირების ფარგლებში თემატური საჩივარი განხილული არ ყოფილა.

შემოსულია ერთი განაცხადი 2016 წლის 15 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა მომართა მაუწყებელს ირაკლი ანთიძის საჩივართან დაკავშირებით. განმცხადებელი იკვლევდა დისკრიმინაციის საკითხებს. საპასუხო მონაცემები სახალხო დამცველს 2016 წლის 22 ივნისს გადაეგზავნა.

[7] www.gpb.ge - სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი ვებ გვერდი

## ❖ დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები

2016 წლის განმავლობაში შეძენილი იქნა შემდეგი მხატრული ფილმები:

1. მხატრული ფილმები: „თოჯინები იცინიან", „შეხვედრა მთაში", „აბეზარა", „ჩარი რამა", „ვერის უბნის მელოდიები" და „სიყვარული ყველას უნდა", კახაბერ სანიშვილი (01008007944), CMR160013321, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 31.12.2015 წ-დან 31.03.2016 წ.

2. მხატრული ფილმები: „ვერის უბნის მელოდიები" და „სიყვარული ყველას უნდა", გიორგი შენგელაია (01025003202), CMR160018184, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 01.03.2016 წ-დან 31.03.2016წ.

3. მხატრული ფილმები: „ბატონი ავანტურისტები", „დები წყვდიადში" და "ზმანები აღლუმებს შორის", ბიძინა ჩხეიძე (01025002002), CMR160067437, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 31.12.2015 წ-დან 31.08.2016წ.

ასევე 2016 წლის განმავლობაში შეძენილი იქნა ქართულ ენაზე გახმოვანებული მხატრული ფილმები - მომწოდებელი შპს „ბრავო რექორდს" (ს/ნ404868639), SPA160002254, ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 26.02.2016 წ-დან - 26.06.2016წ.

## ❖ საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოები

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთდამოკიდებულება 2016 წელს არცერთ საწარმოსთან არ ჰქონია.

## ❖ საჯარო განხილვების შინაარსი და მოქალაქეთა წინადადებები

### საჯარო განხილვები

2016 წლის განმავლობაში მაუწყებელი ორი საჯარო შეხვედრის ინიციატორი გახდა.

❖ პრესის თავისუფლების მსოფლიო დღის აღნიშვნა - 2016 წლის 03 მაისს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, ასევე სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივ კონფერენციაზე ქალაქ ბათუმში მოწვეული იყვნენ ადგილობრივი და ცენტრალური მედიაორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი და ცენტრალური სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები. მედიის საკითხებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ ასევე გაცნობოდნენ საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის და მომხმარებელთა უფლებების დამცველის მოსაზრებებს. ღონისძიების განმავლობაში აჭარის ტელევიზიის და რადიოს ინიციატივას გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, კონფერენციის მონაწილეებს მსოფლიო დღე მიულოცა საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. კონფერენციაში SKYPE-ს საშუალებით ჩაერთო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (იმდროისათვის) დავით უსუფაშვილი.

❖ 3 წელი საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსიდან - 2016 წლის 25 დეკემბერს მაუწყებელმა საზოგადოებას წარუდგინა სამწლიანი ანგარიში. **„სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" მიღწევები და გამოწვევები"** - ამ ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი და ცენტრალური მედიის წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს, კომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ მაუწყებლის პირველი დირექტორის სოსო სტურუას საქმიანობის ანგარიში, მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს შეფასებები, გაცნობოდნენ მაუწყებლის ახალი დირექტორის ნათია კაპანაძის გეგმებს. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ახალი ლოგოს პრეზენტაცია, დამსწრე პირებმა დისკუსიის ფორმატში იმსჯელეს მაუწყებლის შედეგებზე და სამომავლო საჭიროებებზე.

### ❖ მოქალაქეთა წინადადებები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფომაციის გამოთხოვნის მიზნით მხოლოდ ორ შემთხვევაში დაფიქსირდა მომართვა: ააიპ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ მაუწყებლისაგან გაითხოვა ინფორმაცია შეძენილი ფილმებისა და დასაქმებული თანამშრომლების შესახებ. დაინტერესებული პირის მოთხოვნა კანონის ფარგლებში მოხდა რეაგირება.

### ❖ დოკუმენტთბრუნვა მაუწყებელში

2016 წლის მანძილზე მაუწყებელში შესაძლებელი იყო მოქალაქეთა წინადადებების მიღება და განხილვა. ხდებოდა საქმისწარმოების წესების შესაბამისად გასული, შემოსული, შიდა კორესპონდენციის დამუშავება, მოძრაობის უზრუნველყოფა, დოკუმენტების შექმნა და აღრიცხვა.

2016 წლიდან მაუწყებლის საქმისწარმოების განყოფილება (ერთ-ერთი პირველი ტელევიზიებს შორის) ჩაერთო საქმისწარმოების ავტომატიზირებულ ელექტრონულ სისტემაში. „E-document"-ის მეშვეობით მაუწყებლის კანცელარია დოკუმენტების ეფექტურ, ელექტრონულ მართვას უზრუნველყოფს.

2016 წლის მანძილზე მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

- შიდა დოკუმენტი - 2 191
- გარე დოკუმენტაცია - 524

2016 წლის განმავლობაში მაუწყებლის კანცელარიიდან გაიგზავნა:

- წერილი - 629;
- ცნობა, მინდობილობა და რეკომენდაცია - 637;
- მაუწყებელში შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა;
- ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - 31 ბრძანება;
- პირადი შემადგენლობის შესახებ (02-07) (შვებულება, მივლინება, საავადმყოფო ფურცელი) – 734 ბრძანება;
- ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - 360 ბრძანება;
- რეგისტრაციაში გატარდა - 678 მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი;

2016 წლის ბოლოს აღნიშნული დოკუმენტაცია საუწყებო არქივს გადაეცა.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და გათვალისწინების მიზნით მაუწყებელმა საანგარიშო პერიოდში რამოდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე დანერგა:

❖ ფოკუს ჯგუფები:

❖ დიზაინის ფოკუს ჯგუფი - აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს წარმატებულ ფილოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, დიზაინერებს. ჯგუფის ამოცანა იყო მაუწყებლის ვიზუალური მხარის (შეფუთვა, წამყვანების ვიზუალი, ჩაცმულობა, მეტყველება) შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

❖ სტუდენტების ფოკუს ჯგუფი - ჯგუფთან შეხვედრაზე განხილული იყო საინფორმაციო გამოშვება "მთავარი ამბები". სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა დაეფიქსირებინა სტუდენტების მოსაზრებები და რჩევები.

❖ გადაცემა "ეკონომიკის" ფოკუს ჯგუფი - შეხვედრაში მონაწილეობდნენ ბათუმში მოქმედი ეკონომისტები. განხილული იქნა წამყვანის ფაქტორი, თემების ძიებისა და ღრმა ანალიზის კეთების შესაძლებლობები.

❖ ბრენდირების გარე-ფოკუს ჯგუფი - შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ რეგიონში ცნობილი დიზაინერები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ლოგოტიპების შექმნასთან. მათ წარედგინათ აჭარის ტელევიზიის და რადიოს ახალი ლოგო. სამუშაო გუნდმა მოისმინა რჩევები და რეკომენდაციები ორგანიზაციის ბრენდის განახლების თაობაზე.

❖ ბრენდირების შიდა-ფოკუს ჯგუფი - თანამშრომელთა გაფართოებულ შეხვედრაზე წარდგენილ იქნა ახალი ლოგო. სამუშაო გუნდმა მოისმინა რჩევები და რეკომენდაციები ორგანიზაციის ბრენდის განახლების თაობაზე.

- **გასვლითი კვლევითი პროგრამა**

სამუშაოები განხორციელდა უნივარიაციული და ბივარიაციული ანალიზის მეთოდით. მიზანი იყო აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მოსახლეობის გამოკითხვა. საველე სამუშაოები ჩატარდა 2016 წლის 16-30 აპრილს, ხოლო ანალიზის პროცესი მოიცავდა 2016 წლის მაისის თვეს. აღნიშნული კვლევის რეკომენდაციები განხილულ იქნა შიდაშეხვედრებზე და სათათბირო შეხვედრებზე.

- **მოქალაქეთა ინფორმირებულობა**

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გამო სიხშირის ცვლილების შესახებ მაუწყებლის წარმომადგენლებმა საინფორმაციო ტიპის ბუკლეტები დაარიგეს აჭარის მუნიციპალიტეტებში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

❖ სატელევიზიო რეიტინგები

სატელევიზიო რეიტინგების მონაცემების ანალიზი და ცვლილებათა მაჩვენებელი მაუწყებლის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. მაუწყებლის მიერ ჩატარებულმა საველე კვლევის (მიუხედავად აუდიტორიის ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევისა) შედეგებმა არ აჩვენა სრული სურათი, რომლის განზოგადება მოხდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისად, გადაწყდა, რომ საჭირო იყო საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული მიდგომის გაზიარება და ამ პროცესის დანერგვა ტელევიზიაში როგორც გადაცემების და ზოგადად ტელევიზიის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენისთვის და ეფექტური სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. გამოცხადებულ ტენდერში „ტრი მედია ინტელიჯენსმა" გაიმარჯვა. შესაბამისად, საანგარიშო წლის განმავლობაში სამუშაოების დაგეგმვისას მაუწყებელმა აღნიშნული კომპანიის მიერ მოწოდებული მონაცემების გამოყენება დაიწყო.

❖ ადამიანური რესურსების მართვა მაუწყებელში

ადამიანური რესურსების მართვა მაუწყებელში საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის მეშვეობით ხდებოდა. სტრუქტურული ერთეული (სამსახური) შეიქმნა 2015 წლის 28 დეკემბერს მაუწყებლის დებულებაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე.

სამსახურის შექმნისთანავე დაიწყო მუშაობა დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობების შედგენაზე, რათა ნათელი ყოფილიყო შესასრულებელი სამუშაოები (მათ მიმართ დასამებული მიერ დასმული ამოცანები). აღნიშნული პროცესის ძირითადი ნაწილი დასრულდა 2016 წლის იანვარში. მიუხედავად მცდელობისა სრულყოფილი სამუშაო აღწერილობები ამ დრომდე არ არსებობს, რადგან დასაქმებულთა უშუალო ხელმძღვანელები ამ მიმართულებით არ არიან აქტიურები.

2016 წლის თებერვლიდან სამსახურმა აქტიურად დაიწყო მუშაობა სტრუქტურული ერთეულების დებულებების შექმნაზე. საჯარო განხილვისათვის მაუწყებლის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნდა 10 (ათი) სტრუქტურული ერთეულის დებულების პროექტი. პროექტები განსახილველად დაეგზავნა ასევე სამსახურის ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს. თითოეული პროექტის განხილვის მცდელობა იყო ასევე მმართველ საბჭოზე, რაც არ შეიძლება შეფასდეს წარმატებულად. დიდი მცდელობების შემდეგ დროის სხვადასხვა მონაკვეთში (2016 წლის აგვისტომდე) დამტკიცდა პროექტები (იქცა დებულებებად). სამწუხაროდ, მაუწყებელს ამ დრომდე არა აქვს სამი მნიშვნელოვანი სამსახურის (ახალი ამბები, ტექნიკური უზრუნველყოფი და არქივის სამსახურები) დებულება.

2016 წლის პირველ ნახევარში სამსახურმა გაითვალისწინა შიდა აუდიტის მითითებები და მოამზადა, სხვადასხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც სამწუხაროდ ამ დრომდე პროექტებია და სავალდებულო გამოსაყენებელ წესად ვერ იქცა, ესენია: მაუწყებლის შიგნით შეთავსებით სამუშაოებზე ხელშეკრულების დადების წესი, მაუწყებელში თანამშრომელთა მიღებისა და ატესტაციის წესი, მაუწყებლის შენობაში შესვლის/გასვლის წესი, დისციპლინური წარმოების წესი და საქმის ელექტრონული წარმოების წესი. არაერთი მცდელობის მიუხედავად აღნიშნული პროექტებს ოფიციალური დოკუმენტების სახე საანგარიშო პერიოდში არ მიუღია.

2016 წლის მარტში დამტკიცდა მაუწყებელში სტაჟირების გავლის წესი/დებულება. აღნიშნული დებულება აწესრიგებს ისეთ საკითხებს როგორიცაა - კომისიის შექმნა, კონკურსის ჩატარების წესს და პროცედურებს, სტაჟირების გავლის წესს და ვადას, მაუწყებლის და სტაჟიორის უფლება-მოვალეობებს, მაუწყებელში რეზერვის შექმნასა და სხვა არსებით საკითხებს. სტაჟირების დებულების დამტკიცების შემდეგ მიმდინარე წლის 30 მარტს მაუწყებელში (ყველა სტრუქტურულ ერთეულში) გამოცხადდა სტაჟირება. გამოცხადებულ სტაჟირებაში პრეტენდენტად (მსურველად) დარეგისტრირდა 59 ადამიანი (სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში). დარეგისტრირებული პრეტენდენტებიდან პირველი ეტაპი (საბუთების შესაბამისობის დადგენა - დაწესებულ კრიტერიუმებთან) გადალახა 52 პრეტენდენტმა. დებულებით განსაზღვრული წესით ეცნობათ პრეტენდენტებს მეორე ეტაპზე გადასვლის შესახებ და შემდგომი პროცედურები (გასაუბრების დრო და ადგილი). გასაუბრებაზე გამოცხადდა 49 პრეტენდენტი. გამოცხადებული პრეტენდენტებიდან მეორე ეტაპი წარმატებით გაიარა 24 მსურველმა და შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით მაუწყებლის დირექტორს 24 პრეტენდენტი წარედგინა დასანიშნად (სტაჟირების გასავლელად). მაუწყებლის დირექტორის 2016 წლის 25 მაისის ბრძანებით კომისიის მიერ წარდგენილი ყველა კანდიდატი დაინიშნა მაუწყებელში (სტაჟიორად). თუმცა სტაჟირების პროგრამის დახვეწა კვლავაც წარმოადგენს მაუწყებლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას.

2016 წლის განმავლობაში სამსახური ასევე აქტიურად მუშაობდა eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვაზე. სისტემა წარმოადგენს მაუწყებელში დასაქმებულთა ადამიანური რესურსების ერთიან მონაცემთა ბაზას. სისტემის მიზანია ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის უზრუნველყოფა შემუშავებული პოლიტიკისა და სტანდარტების გათვალისწინებით. eHRMS არის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციების პერსონალის მართვის ფუნქციის ახალ საფეხურზე გადაყვანას. სისტემა შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობით, ქვეყანაში არსებული კანონმდებლობისა და მართვის წესების შესაბამისად, ასევე მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.
eHRMS სისტემა არის მარტივი, მოქნილი და მომხმარებლისთვის ადვილად გამოსაყენებელი. სისტემაში სრულყოფილად არის წარმოდგენილი პერსონალის ადმინისტრირების მოდული, რომელშიც ასევე მოიაზრება თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის ფუნქციონალი. რეალიზებულია ისეთი მძლავრი მექანიზმები, როგორიცაა: მონაცემების არქივირება, ძებნა, და ანგარიშგების წარმოება.

2016 წლის განმავლობაში სამსახური აქტიურად მუშაობდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის **(eDocument)** დანერგვაზე. აღნიშნული პროგრამის მიზანია, საოფისე დოკუმენტაციის ეფექტური ელექტრონული მართვა და საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფი წვდომა არის კრიტიკული საკითხების დროული გამკლავების ერთ-ერთი აღიარებული და მიღებული გზა.
საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა არის ინოვაციური და პროგრესული პროდუქტი, რომელიც ბიზნეს-პროცესების მაქსიმალურ გამარტივებას და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. სისტემა სამსახურებრივი დოკუმენტების ქაღალდის გამოუყენებლად მოძრაობის საშუალებას იძლევა. სისტემის მეშვეობით მარტივად ხდება დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სისტემის დანერგვისათვის სპეციალური ტრენერები იქნა მოწვეული და მისი სარგებლობისთვის მაუწყებელი შესაბამის თანხას იხდის (ერთი სუბიექტისთვის 20 ლარს), ამ დრომდე აღნიშნული სისტემით მაუწყებლის მხოლოდ ერთეული სამსახურების სარგებლობენ.

2016 წლის აგვისტოში ისევე, როგორც იანვარში სამსახური აქტიურად იყო ჩართული კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტის შემქმნელი დასამებულებისათვის ხელშეკრულების პირობების შეთანხმებაში. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულებთან ინდივიდუალურად თანხმდებოდა პირობები კონკრეტული სამსახურების ხელმძღვანელების თანდასწრებით, იყო შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების ხელმოწერის თვეშივე არღვევდნენ დასაქმებულების პირობებს, რაზედაც შესაბამისი რეაგირებები არ იყო ეფექტური (ისევე როგორც სხვა შემთხვევებში). ამდენად, მომდევნო საანგარიშო პერიოდების გამოწვევაა შრომითი საკითხების სწორად გამართვა და ანგარიშგება.

სამსახური შექმნიდან მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა დებულებით გათვალისწინებული ვალდებულების - დისციპლინური წარმოების დოკუმენტაციის შეგროვებასა და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებას მაუწყებლის შესაბამისი პირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში დაახლოებით 80 დისციპლინური წარმოება დაიწყო. საბოლოოო, გადაწყვეტილება 27 დასაქმებულზე იქნა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ სხვების მიმართ წარმოების შეწყვეტის ობიექტური საფუძვლები არ არსებობდა. მთელი წლის განმავლობაში მაუწყებელში მიმდინარე და ჯერ კიდევ ჩანასახში არსებულ დისციპლინური წარმოების პრაქტიკა საბოლოოდ განადგურდა მაუწყებლის დირექტორის 2016 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებით (N02-09/282), როდესაც დისციპლინურ სახდელ დადებულ თითქმის ყველა სუბიექტს მოეხსნა სახდელი, კონკრეტული საფუძვლების გარეშე. აღნიშნული გარემოების შემდეგ სამსახურის აქტიურობა ამ მიმართულებით გაქრა, სამსახურის წარმოადგენილი მიუთითებს, რომ ამ ნაბიჯით აღნიშნულმა ინსტრუმენტმა თავისი მიზანი დაკარგა. საანგარიშო პერიოდში სამსახური არსებული შესაძლებლობების ფარგლებში (წარმოდგენილი ერთი სუბიექტით) მაქსიმალურად

ცდილობდა დებულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. ამდენად, მომდევნო საანგარიშო პერიოდში გასამართია როგორც შრომითი დისციპლინის, ისე წახალისების მექანიზმები.

❖ სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავება

- წინასაარჩევნო ტრენინგები ახალი ამბების სამსახურისთვის

საანგარიშო წლის განმავლობაში მაუწყებლის თანამშრომელთა პროფესიული უნარების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება ერთ-ერთი საკვანძო საკითხი იყო. გამომდინარე იქედან, რომ პერიოდი დაემთხვა წინასაარჩევნო პროცესს, მთავარი აქცენტი სწორედ ახალი ამბების სამსახურის გაძლიერებაზე გაკეთდა.

ჩატარდა ორი ტრენინგი წინასაარჩევნო პროცესების და არჩევნების დღის გაშუქების თაობაზე. ტრენერები იყვნენ როგორც მაუწყებლის თანამშრომლები, ისე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" და „სამართლიანი არჩევნების" საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები.

ამავე დროს მაუწყებლის ახალი ამბების გუნდისათვის რეკომენდაციების მომზადებისა და პრაქტიკული სამუშაოების სწორი დაგეგმარების მიზნით სამუშაო პროცესებში ჩართული იყო ჟურნალისტი ზვიად ქორიძე.

ახალი ამბების გუნდის გაძლიერებისა და ტექნიკური უნარების გაუმჯობესების მიზნით ააიპ მედიის განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა ასევე ჩაატარეს სწავლება საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად წვდომისა და ინფორმაციის გრაფიკულად გამოსახვის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში, განახლებული სეზონის დაწყებამდე, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოქმედებითი გუნდის ლიდერმა სერგი გვარჯალაძემ ჩაატარა მასტერკლასები შემოქმედებაში პროდიუსინგის და დაგეგმარების საკითხებზე. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში სერგი გვარჯალაძე ჩაერთო მაუწყებლის შემოქმედებითი გუნდების მზადების პროცესში, მიაწოდა რეკომენდაციები განვითარების და შემოქმედების სამსახურებს ახალი სეზონის დაწყების და სამომავლო აქტივობების უკეთესად განხორციელებისათვის.

❖ შიდა შეხვედრები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ახალი სტრუქტურის პირობებში მაუწყებლის თანამშრომლებს სხვადასხვა სეგმენტიდან, ჰქონდათ ერთად მუშაობის და ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარების და საჭიროების დადგენის შესაძლებლობა. ეს იყო გუნდურობის საწყისი ეტაპი, რაც გულისხმობს შემდგომ პერიოდებში გაგრძელებას და თანამშრომლობის დახვეწას.

❖ 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც თან ერთვის ძირითად მასალას.

❖ აუდიტის ანგარიში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა შიდა და გარე აუდიტის ანგარიში, რომელიც თან ერთვის ძირითად მასალას.

❖ შეჯამება

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2016 წლის შედეგები, თავისი მიღწევებით და გამოწვევებით, წარმოადგენს მაუწყებლის კიდევ ერთ ნაბიჯს გახდეს პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით მოქმედი ორგანიზაცია.

ჩვენი საქმიანობის საფუძველია როგორც ჟურნალისტური ეთიკის მაღალი სტანდარტები, ისე საქართველოს კონსტიტუცია, მაუწყებლობის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებები, მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონი, "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტები.

ჩვენ სრულად ვაანალიზებთ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის კარგად ინფორმირებული საზოგადოებაა საჭირო, საზოგადოება კი ვერ იქნება სათანადოდ ინფორმირებული ხარისხიანი მაუწყებლობის გარეშე.

ამიტომაც, მაუწყებელი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად ისე, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად ხელშეუხებელი იყოს.

**ნათია კაპანაძე**

**სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს დირექტორი**

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
# აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
# 2016 წლის ბიუჯეთის
# შესრულების
# ანგარიში

2016 წელი

# შინაარსი

1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები ............................................ 3

2. მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ............................................ 5

3. მაუწყებლის ბიუჯეტის საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია ............... 8

4. ინფორმაცია მაუწყებლის შემოსავლების შესახებ ............................................ 14

5. სახელმწიფო შესყიდვები ............................................ 16

6. ინფორმაცია მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ........................ 18

## 1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები

- ✓ ანგარიში მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ 33-ე, 35[12]-ე და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის 18-ე მუხლის შესაბამისად.
- ✓ მაუწყებლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო.
- ✓ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს დირექტორის მიერ 2015 წლის 23 დეკემბერს N02-19/465 წერილით წარდგენილი 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს მრჩევლთა საბჭოს მიერ 2015 წლის 25 დეკემბერის N01-01/18 (ოქმი N13) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და დასამტკიცებლად წარედგინა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, რომელთა მიერ 2015 წლის 30 დეკემბერის N326 (ოქმი N308) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2016 წლის ბიუჯეტი.
- ✓ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2016 წლის ბიუჯეტში განხორციელდა რიგი ცვლილებები და დამტკიცდა კორექტირებული ბიუჯეტი, კერძოდ:
  - → „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2016 წლის 07 მარტს განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე ამავე კანონის 35[4] მუხლის შესაბამისად „მრჩეველთა საბჭოსათვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად გამოყოფილი თანხა შეადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის 3%-ს. აქედან მრჩევლების ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 2%-ს“. აღნიშნული მუხლის საფუძველზე მრჩეველთა საბჭოს მიერ 2016 წლის 29 მარტის N01-01/05 (ოქმი N4) გადაწყვეტილების შესაბამისად დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოს გადაეგზავნა მაუწყებლის 2016 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცდა 2016 წლის 12 აპრილს N316 (ოქმი N316) გადაწყვეტილებით.
  - → 2016 წლის აგვისტოს თვეში რადიოს ეთერში გენდერული თანასწორობისა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ გადაცემების მომზადების შესახებ საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა

"აი ფი ეს/საქართველო" - სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში (7 500 ლარი) მრჩეველთა საბჭოს მიერ 2016 წლის 09 აგვისტოს N01-01/16 (ოქმი N9) გადაწყვეტილების შესაბამისად დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოს გადაეგზავნა მაუწყებლის 2016 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცდა 2016 წლის 26 აგვისტოს N345 (ოქმი N324) გადაწყვეტილებით.

→ 2016 წლის ნოემბრის თვეში „ეკომიგრანტების საკითხებისა და პრობლემების შესახებ 15 დოკუმენტური ფილმის“ მომზადების მიზნით ა(ა)იპ ევროპის ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში (2016 წლის 01 ნოემბრიდან 2017 წლის 10 თებერვლამდე) მრჩეველთა საბჭოს მიერ 2016 წლის 16 ნოემბრის N01-01/23 გადაწყვეტილების შესაბამისად დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოს გადაეგზავნა მაუწყებლის 2016 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცდა 2016 წლის 28 ნოემბრის N351 (ოქმი N332) გადაწყვეტილებით.

✓ მაუწყებლის 2016 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

## 2. მაუწყებლის ბიუჯეტის 2016 წლის შესრულების მაჩვენებლები

| ხარჯების დასახელება | დამტკიცებული ბიუჯეტი | | კორექტირებული ბიუჯეტი | | | | ათვისებული (ფაქტიური) ბიუჯეტი | | | | ბიუჯეტის შესრულება % | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხაზინა | ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები | ხაზინა კორექტირებული | ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები კორექტირებული | სხვაობა დამტკიცებულსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის | სხვაობა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების დამტკიცებულსა და კორექტირებულ ბიუჯეტს შორის | ხაზინა ფაქტიური შესრულება | ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები ფაქტიური შესრულება | სხვაობა კორექტირებულ ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის | სხვაობა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების კორექტირებულ ბიუჯეტსა და ფაქტიურ შესრულებას შორის | ხაზინა | ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები |
| შრომის ანაზღაურება | 4 177 000 | 25 200 | 4 177 000 | 51 700 | - | 26 500 | 4 170 765 | 51 700 | 6 235 | - | 99,85 | 100,00 |
| მივლინებები | 143 250 | 35 000 | 143 250 | 35 000 | - | - | 143 164 | 18 556 | 86 | 16 444 | 99,94 | 53,02 |
| მრჩეველთა საბჭო | 99 225 | 1 650 | 180 285 | 1 650 | 81 060 | - | 168 735 | 550 | 11 550 | 1 100 | 93,59 | 33,33 |
| ადმინისტრაციული | 692 525 | 7 850 | 692 525 | 7 850 | - | - | 692 421 | 7 722 | 104 | 128 | 99,98 | 98,37 |
| საინფორმაციო | 31 900 | 2 500 | 31 900 | 2 500 | - | - | 31 900 | 2 500 | - | - | 100,00 | 100,00 |
| პროდიუსინგი | 538 000 | 4 000 | 456 940 | 4 000 | (81 060) | - | 456 856 | 3 967 | 84 | 33 | 99,98 | 99,17 |
| ტექნიკური | 854 100 | 51 800 | 854 100 | 51 800 | - | - | 853 612 | 51 575 | 488 | 225 | 99,94 | 99,57 |
| სხვა გადასახდელები | 79 000 | 22 000 | 79 000 | 22 000 | - | - | 79 000 | 19 404 | - | 2 596 | 100,00 | 88,20 |
| **სულ ჯამი** | **6 615 000** | **150 000** | **6 615 000** | **176 500** | **-** | **26 500** | **6 596 452** | **155 974** | **18 548** | **20 526** | **99,72** | **88,37** |

→ დამტკიცებულ და დაკორექტირებულ ბიუჯეტს შორის სხვაობამ ხაზინის ნაწილში გასალდოებით შეადგინა 0 ლარი, თუმცა ცხრილიდან ჩანს, რომ პროდიუსინგის მუხლი შემცირდა 81 060 ლარით, ხოლო მრჩეველთა საბჭოს მუხლი გაიზარდა 81 060 ლარით. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში 2016 წლის 07 მარტს განხორციელებული ცვლილებით, კერძოდ: ამავე კანონის 35[4] მუხლის შესაბამისად „მრჩეველთა საბჭოსათვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად გამოყოფილი თანხა შეადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის 3%-ს. აქედან, მრჩევლების ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 2%-ს".

→ დამტკიცებულ და დაკორექტირებულ ბიუჯეტს შორის სხვაობამ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების ნაწილში შეადგინა 26 500 ლარი, კერძოდ,

→ 2016 წლის აგვისტოს თვეში გაიზარდა შრომის ანაზღაურების მუხლი 7 500 ლარის ოდენობით, სადაც გათვალისწინებული იყო საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის წარმომადგენლობა "აი ფი ეს/საქართველო"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში რადიოს ეთერში გენდერული თანასწორობისა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ გადაცემების მომზადება;

→ 2016 წლის ნოემბრის თვეში გაიზარდა შრომის ანაზღაურების მუხლი 19 000 ლარის ოდენობით, რომელიც ითვალისწინებდა ა(ა)იპ ევროპის ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2016 წლის 01 ნოემბრიდან 2017 წლის 10 თებერვლამდე ეკომიგრანტების საკითხებისა და პრობლემების შესახებ 15 დოკუმენტური ფილმის მომზადებას.

❖ ათვისებული ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლები






## 3. მაუწყებლის ბიუჯეტის საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია

2016 წელში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების თანხა დაზუსტებული გეგმის მიხედვით შეადგენდა 6 615 000,00 ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 6 596 452,24 ლარი. გეგმასა და ფაქტიურ (საკასო) ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 18 547,76 ლარს, კერძოდ:

- შრომის ანაზღაურების მუხლში დარჩა ასათვისებელი 6 235,49 ლარი, მათ შორის:
  - → თანამდებობრივი სარგო 6 181,11 ლარი (რომელიც გამოწვეულია საშტატო განრიგში არსებული ვაკანსიით);
  - → შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 38,97 ლარი;
  - → სოციალური უზრუნველყოფა 15,41 ლარი;
- მივლინების მუხლში დარჩა ასათვისებელი 86,18 ლარი;
- მრჩეველთა საბჭოს მუხლში დარჩა ასათვისებელი 11 550,00 ლარი, მათ შორის:
  - → მრჩეველთა საბჭოს წევრების ჰონორარი 6 225,38 ლარი (რომელიც გამოწვეულია საშტატო განრიგში არსებული ვაკანსიით);
  - → მრჩეველთა საბჭოს აპარატის მუშაკთა ჰონორარი 661,37 ლარი;
  - → მივლინება 1 901,02 ლარი;
  - → ოფისი 500,00 ლარი;
  - → სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 2 262,23 ლარი.
- ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში დარჩა ასათვისებელი 104,23 ლარი;
- პროდიუსინგის მუხლში დარჩა ასათვისებელი 84,21 ლარი;
- ტექნიკური ხარჯების მუხლში დარჩა ასათვისებელი 487,65 ლარი.

***გეგმის შესრულების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 99,72 %-ს.***

2016 წელში ეკონომიკური საქმიანობით (მიზნობრივი გრანტის ჩათვლით) მიღებული შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების თანხა დაზუსტებული გეგმის მიხედვით შეადგენდა 176 500,00 ლარს, გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 155 973,81 ლარი. გეგმასა და ფაქტიურ (საკასო) ხარჯებს შორის სხვაობა შეადგენს 20 526,19 ლარს, კერძოდ:

- მივლინების მუხლში დარჩა ასათვისებელი 16 444,00 ლარი;
- მრჩეველთა საბჭოს მუხლში დარჩა ასათვისებელი 1 100,02 ლარი;
- ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში დარჩა ასათვისებელი 127,89 ლარი;
- პროდიუსინგის მუხლში დარჩა ასათვისებელი 33,15 ლარი;
- ტექნიკური ხარჯების მუხლში დარჩა ასათვისებელი 225,31 ლარი;
- სხვა გადასახადების მუხლში დარჩა ასათვისებელი 2 595,82 ლარი.

***გეგმის შესრულების წლიური მაჩვენებელი შეადგენს 88,37 %-ს.***

დეტალური ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2016 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

❖ დეტალური ინფორმაცია მაუწყებლის მიერ 2016 წელში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ

| ხარჯების დასახელება | სახელმწიფო ბიუჯეთი | | | არასაბიუჯეტო შემოსავლები | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კორექტირებული გეგმა | საკასო ხარჯი | გადახრა | კორექტირებული გეგმა | საკასო ხარჯი | გადახრა |
| **სულ** | 6 615 000,00 | 6 596 452,24 | 18 547,76 | 176 500,00 | 155 973,81 | 20 526,19 |
| **შრომის ანაზღაურება** | 4 177 000,00 | 4 170 764,51 | 6 235,49 | 51 700,00 | 51 700,00 | - |
| თანამდებობრივი სარგო | 1 439 618,00 | 1 433 436,89 | 6 181,11 | - | - | - |
| პრემია | 12 832,00 | 12 832,00 | - | - | - | - |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 2 648 307,00 | 2 648 268,03 | 38,97 | - | - | - |
| შტატგარეშე მომუშავეთა პრემია | 27 243,00 | 27 243,00 | - | - | - | - |
| თანამშრომელთა ხელფასი გაეროს, IFES-ს საქართველოსა და ა(ა)იპ ევროპის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში | - | - | - | 51 700,00 | 51 700,00 | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 49 000,00 | 48 984,59 | 15,41 | - | - | - |
| **მრჩეველთა საბჭო** | 180 285,00 | 168 735,00 | 11 550,00 | 1 650,00 | 549,98 | 1 100,02 |
| მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი | 115 337,00 | 109 111,62 | 6 225,38 | 1 100,00 | - | 1 100,00 |
| მრჩეველთა საბჭოს აპარატის მუშაკთა თანამდებობრივი სარგო | 25 213,00 | 24 551,63 | 661,37 | - | - | - |
| მივლინება | 3 502,00 | 1 600,98 | 1 901,02 | - | - | - |
| საკანცელარიო ნივთები (მრჩეველთა საბჭო) | 500,00 | - | 500,00 | - | - | - |
| აუდიტორული მომსახურება მრჩეველთა საბჭოს დაკვეთით | 10 693,00 | 8 850,00 | 1 843,00 | - | - | - |
| სოც. კვლევა მრჩეველთა საბჭოს დაკვეთით | 9 900,20 | 9 900,20 | - | - | - | - |
| მობილური ტელეფონების ხარჯი | 1 080,00 | 1 042,03 | 37,97 | - | - | - |
| რეიტინგების მთვლელი კვლევა მრჩეველთა საბჭოს დაკვეთით | 11 788,80 | 11 407,94 | 380,86 | - | - | - |
| საკონფერენციო დარბაზის დაქირავება (25/12/2016) | 1 971,00 | 1 970,60 | 0,40 | - | - | - |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 300,00 | 300,00 | - | 550,00 | 549,98 | 0,02 |
| **მივლინება** | 143 250,00 | 143 163,82 | 86,18 | 35 000,00 | 18 556,00 | 16 444,00 |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 61 750,00 | 61 710,75 | 39,25 | 20 000,00 | 13 556,00 | 6 444,00 |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 81 500,00 | 81 453,07 | 46,93 | 10 000,00 | - | 10 000,00 |
| მივლინება ქვეყნის შიგნით გაეროს დაფინანსებული პროექტის ფარგლებში | - | - | - | 5 000,00 | 5 000,00 | - |
| **ადმინისტრაციული** | 692 525,00 | 692 420,77 | 104,23 | 7 850,00 | 7 722,11 | 127,89 |
| საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები | 750,00 | 749,25 | 0,75 | - | - | - |
| დანარჩენი საკანცელარიო ნივთები | 3 234,00 | 3 234,00 | - | - | - | - |
| კომპიუტერული პროგრამების შეძენა, განახლება, მომსახურება | 4 900,00 | 4 898,04 | 1,96 | - | - | - |
| ჟურნალ-გაზეთების შეძენა | 1 243,00 | 1 242,00 | 1,00 | - | - | - |
| ტიტულიანი ბლანკების ბეჭდვა, მანქანის ლოგოების ბეჭდვა | 938,00 | 938,00 | - | - | - | - |
| სამსახურებრივი მოწმობების დამზადება | 1 120,00 | 1 120,00 | - | - | - | - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება | 980,00 | 980,00 | - | - | - | |
| კომპიუტერული ტექნიკა და მარაგები | 6 276,00 | 6 275,24 | 0,76 | - | - | |
| კატრიჯების შეძენა | 4 000,00 | 3 999,02 | 0,98 | - | - | |
| ელექტრო გამათბობლების შეძენა | 1 670,00 | 1 669,99 | 0,01 | - | - | |
| გასანათებელი მოწყობილობები და ნათურები | 4 260,00 | 4 260,00 | - | - | - | |
| სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი | 5 503,00 | 5 502,60 | 0,40 | - | - | |
| შენობის ლაითბოქსების (აბრა) შეძენა | 900,00 | 900,00 | - | - | - | |
| მაგიდის სანათების შეძენა | 535,00 | 535,00 | - | - | - | |
| ბრენდირებული საქონელის შეძენა | 7 941,00 | 7 941,00 | - | - | - | |
| გარე მყარი დისკების შეძენა | 7 611,00 | 7 611,00 | - | - | - | |
| საოფისე ავეჯი | 12 484,00 | 12 483,22 | 0,78 | - | - | |
| კაბელის და კაბელის აქსესუარების შეძენა | 4 939,00 | 4 939,00 | - | - | - | |
| შენობის მიმდინარე რემონტი | 56 699,00 | 56 699,00 | - | - | - | |
| ტექნიკის მარაგ-ნაწილები | 100,00 | 100,00 | - | - | - | |
| ავეჯის შეკეთება | 200,00 | 200,00 | - | - | - | |
| კონდიციონერების შეკეთება | 2 700,00 | 2 700,00 | - | - | - | |
| საკონფერენციო დარბაზის დაქირავება | 5 560,00 | 5 559,57 | 0,43 | - | - | |
| შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება | 7 900,00 | 7 895,66 | 4,34 | - | - | |
| სატელეფონო საინფორმაციო ცენტრის მომსახურება (09) | 17,00 | 16,90 | 0,10 | - | - | |
| მობილური ტელეფონების ხარჯი | 8 100,00 | 8 100,00 | - | - | - | |
| ინტერნეტით მომსახურების ხარჯი | 9 996,00 | 9 996,00 | - | - | - | |
| დომენის რეგისტრაციის გაგრძელება | 90,00 | 90,00 | - | - | - | |
| სატელეკომუნიკაციო (ჰოსტიგის წლიური) მომსახურეობა | 7 800,00 | 7 800,00 | - | - | - | |
| საფოსტო მომსახურება | 1 702,00 | 1 676,00 | 26,00 | - | - | |
| ელ.ენერგიის ხარჯი | 77 251,00 | 77 250,86 | 0,14 | - | - | |
| წყალის ხარჯი | 2 762,00 | 2 761,50 | 0,50 | - | - | |
| შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექციის ხარჯი | 3 000,00 | 3 000,00 | - | - | - | |
| გენერატორებისთვის საწვავის შეძენა | 2 500,00 | 2 499,05 | 0,95 | - | - | |
| შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი (ჰიგიენური საშუალებების შეძენა) | 5 088,00 | 5 077,43 | 10,57 | - | - | |
| საკორ. პუნქტებისთვის ოფისების დაქირავების ხარჯი | 22 012,00 | 22 011,50 | 0,50 | - | - | |
| საქ.ტელერადიოცენტრის ანძებზე დამონტაჟებული აპარატურის შენახვის ხარჯი | 3 000,00 | 3 000,00 | - | - | - | |
| საკანონმდებლო მაცნეს ბაზის განახლება | 288,00 | 288,00 | - | - | - | |
| პირველადი ბატარეები, ელემენტები, აკუმლატორები, UPS | 32 903,00 | 32 902,40 | 0,60 | - | - | |
| ხანძარსაწინაალმდეგო მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება | 1 300,00 | 1 287,00 | 13,00 | - | - | |
| სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის (წარმომადგენლობითი) ხარჯი | - | - | - | 4 810,00 | 4 687,18 | 122,82 |
| საწვავი (ავტომანქანაზე) გაეროს დაფინანსებული პროექტის ფარგლებში | - | - | - | 2 000,00 | 1 994,93 | 5,07 |
| საწვავი (ავტომანქანებზე) | 93 230,00 | 93 229,81 | 0,19 | - | - | |
| საბურავების შეძენა | 3 198,00 | 3 198,00 | - | - | - | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის და რეცხვის ხარჯი | 28 989,00 | 28 973,94 | 15,06 | - | - | - |
| GPS-ის მოწყობილობის მეშვეობით ავტომობილების კონტროლის და გადაადგილების მონიტორინგის მომსახურეობა | 4 084,00 | 4 083,73 | 0,27 | - | - | - |
| ავტომანქანების დაზღვევა | 6 000,00 | 6 000,00 | - | - | - | - |
| ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის ხარჯი) | 400,00 | 400,00 | - | - | - | - |
| ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებულ ხარჯებს | 300,00 | 300,00 | - | - | - | - |
| სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი | 18 609,00 | 18 608,00 | 1,00 | - | - | - |
| ავტომანქანების პარკირების ხარჯი | 680,00 | 680,00 | - | - | - | - |
| ექსპერტიზისა და შემოწმებების ხარჯი | 350,00 | 350,00 | - | - | - | - |
| დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან | 1 000,00 | 999,82 | 0,18 | - | - | - |
| სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი | 1 661,00 | 1 659,74 | 1,26 | - | - | - |
| აუდიტორული მომსახურება | 900,00 | 900,00 | - | 1 000,00 | 1 000,00 | - |
| კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 3 000,00 | 3 000,00 | - | - | - | - |
| შენობის დაცვა (ორბელიანის 17) | 13 860,00 | 13 860,00 | - | - | - | - |
| შენობის დაცვა (ადმინისტრაციული) | 133 200,00 | 133 200,00 | - | - | - | - |
| სატენდერო და აუქციონის განცხადებების ხარჯი | 6 500,00 | 6 500,00 | - | - | - | - |
| საბაჟო დეკლარაციის მომზადება | - | - | - | 40,00 | 40,00 | - |
| სატრანსპორტო საშუალების შეძენა | 50 000,00 | 50 000,00 | - | - | - | - |
| კომპიუტერის ანტივირუსის მომხმარებლის ლიცენზიის უფლება | 4 992,00 | 4 992,00 | - | - | - | - |
| 112-ს მომსახურების საფასური (ადგილობრივი სატელეფონო მომსახურების) | 194,00 | 174,50 | 19,50 | - | - | - |
| 112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელეფონო მომსახურების) | 1 126,00 | 1 123,00 | 3,00 | - | - | - |
| საინფორმაციო | 31 900,00 | 31 900,00 | - | 2 500,00 | 2 500,00 | - |
| პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები | 25 500,00 | 25 500,00 | - | - | - | - |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 2 860,00 | 2 860,00 | - | - | - | - |
| საინფორმაციო მომსახურება "ახალი ამბები" | 3 540,00 | 3 540,00 | - | - | - | - |
| კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | - | - | - | 2 500,00 | 2 500,00 | - |
| პროდიუსინგი | 456 940,00 | 456 855,79 | 84,21 | 4 000,00 | 3 966,85 | 33,15 |
| ბილბორდების დაქირავება ბანერებისათვის | 4 948,00 | 4 947,81 | 0,19 | - | - | - |
| კორპორაციული შრიფტის შექმნის მომსახურება | 4 900,00 | 4 900,00 | - | - | - | - |
| სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა | 341 375,00 | 341 374,40 | 0,60 | - | - | - |
| ბრენდბუქის შექმნა | 4 900,00 | 4 900,00 | - | - | - | - |
| წამყვანთა ჩაცმულობა | 4 820,00 | 4 820,00 | - | - | - | - |
| სტუდიების განახლების სამუშაოების შესყიდვა | 60 198,00 | 60 196,80 | 1,20 | - | - | - |
| კოსმეტიკური საშუალებების შეძენა (სტილისტი+გრიმიორი) | 2 998,00 | 2 997,60 | 0,40 | - | - | - |
| სატელევიზიო გადაცემებისთვის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი | 580,00 | 580,00 | - | 1 537,00 | 1 506,73 | 30,27 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრენდირებული საქონელის შეძენა | 3 226,00 | 3 226,00 | - | - | - | - |
| ბილბორდებისათვის ბანერების დაბეჭდვა | 1 846,00 | 1 846,00 | - | - | - | - |
| მიკროფონის ღრუბლების შეძენა | 4 572,00 | 4 571,99 | 0,01 | - | - | - |
| რეკლამის ხარჯი (სოც.ქსელი) | 314,00 | 240,88 | 73,12 | - | - | - |
| საავტორო უფლებების ჰონორარი | 19 968,00 | 19 959,85 | 8,15 | - | - | - |
| ნამზადების და რადიომაუწყებლობის სტრიმერის შეძენა (არარეზიდენტის მოგების გადასახადთან ერთად) | 2 295,00 | 2 294,46 | 0,54 | 2 463,00 | 2 460,12 | 2,88 |
| **ტექნიკა** | **854 100,00** | **853 612,35** | **487,65** | **51 800,00** | **51 574,69** | **225,31** |
| თანამგზავრული მაუწყებლობა | 337 573,20 | 337 573,20 | - | - | - | - |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 37 508,14 | 37 508,14 | - | - | - | - |
| პირდაპირი თანამგზავრული ჩართვები | 12 324,80 | 12 324,24 | 0,56 | - | - | - |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 1 211,86 | 1 211,85 | 0,01 | - | - | - |
| ნოუთბუქისა (2) და პლანშეტის (3) შეძენა | 8 225,00 | 8 124,30 | 100,70 | - | - | - |
| სატრანსპორტო საშუალების (3) შეძენა | 66 664,00 | 66 664,00 | - | - | - | - |
| საოფისე კომპიუტერის (5) შეძენა | 5 093,00 | 5 092,50 | 0,50 | - | - | - |
| ციფრული სიგნალის გარდამქმნელები/კონვერტორები | - | - | - | 3 900,00 | 3 900,00 | - |
| საოფისე კომპიუტერის (3) შეძენა | - | - | - | 3 056,00 | 3 055,50 | 0,50 |
| ქსელური მოწყობილობების შეძენა | - | - | - | 4 944,00 | 4 788,00 | 156,00 |
| რადიოს ტექნიკა (პულტი, მიკროფონი, მიკროფონის საკონტროლო პანელი, ეთერის მიმდინარეობის მანიშნებელი ეკრანი, ყურსასმენის სიგნალის გამაძლიერებელი) | - | - | - | 38 000,00 | 37 996,00 | 4,00 |
| საფრენი აპარატის დაქირავება ვიდეორგოლის გადასაღებად | 250,00 | 250,00 | - | - | - | - |
| სამუშაო სადგურის (14) შეძენა | 60 287,00 | 60 287,00 | - | - | - | - |
| სამონტაჟო ლეპტოპის (2) შეძენა | 4 671,00 | 4 670,44 | 0,56 | - | - | - |
| აუდიო პულტის (1) შეძენა | 1 400,00 | 1 400,00 | - | - | - | - |
| ვიდეოკამერების (6) შეძენა | 120 000,00 | 120 000,00 | - | - | - | - |
| ტელევიზორის (13) შეძენა | 12 481,00 | 12 480,86 | 0,14 | - | - | - |
| ტელევიზიისა და რადიოს შენობისთვის გამწოვების (3) შეძენა | 2 170,00 | 2 170,00 | - | - | - | - |
| მეხსიერების ბარათის წამკითხველის (10) შეძენა | 8 378,00 | 8 378,00 | - | - | - | - |
| კედლის კონდიციონერების (17) შეძენა | 11 799,00 | 11 798,82 | 0,18 | - | - | - |
| ტრანსკოდერისა (2) და აუდიო კონვერტორის (1) შეძენა | 5 637,00 | 5 636,86 | 0,14 | - | - | - |
| მრავალფუნქციური ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობს (ფაერვოლი) შეძენა | 21 223,00 | 21 222,30 | 0,70 | - | - | - |
| რადიოგადამცემი მოწყობილობების (მოდულატორების) შეძენა (3) | 17 995,00 | 17 995,00 | - | - | - | - |
| ციფრული სიგნალის საკონტროლო მონიტორის (1) შეძენა | 6 808,00 | 6 807,42 | 0,58 | - | - | - |
| სამაუწყებლო კლასის ენკოდერი რადიო სარელეო მოწყობილობით და სამაუწყებლო რესივერი IP რადიოსარელეო ხაზთან შემათანხმებელი ბლოკით | 23 317,00 | 23 316,80 | 0,20 | - | - | - |
| შენობის სახურავის იჯარა მიმღებ/გადამცემი აპარატურის დასამონტაჟებლად | 3 600,00 | 3 600,00 | - | - | - | - |
| ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური | 18 260,00 | 18 260,00 | - | - | - | - |
| ნამზადების შეძენა (არარეზიდენტის მოგების გადასახადთან ერთად) | - | - | - | 1 900,00 | 1 835,19 | 64,81 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სატელევიზიო მომსახურება (საფეხბურთო მატჩის პირდაპირი ტრანსლირება) | 700,00 | 700,00 | - | - | - | - |
| მიკროტალღური რადიომოწყობილობების (სარელეო მიმღები და გადამცემი ანტენები) (2) შეძენა | 482,00 | 482,00 | - | - | - | - |
| სატელევიზიო აპარატურის შეკეთების ხარჯი | 90,00 | 90,00 | - | - | - | - |
| განათების აპარატის (4) შეძენა | 9 563,00 | 9 558,00 | 5,00 | - | - | - |
| IP სატელეფონო ჰიბრიდის კომპლექტი | 9 900,00 | 9 899,02 | 0,98 | - | - | - |
| ვიდეოპროექტორი ეკრანით | 1 911,00 | 1 911,00 | - | - | - | - |
| საფრენი აპარატი ვიდეოკამერით | 4 470,00 | 4 470,00 | - | - | - | - |
| რადიომიკროფონული კომპლექტი (12), ვიდეოკამერა გო-პრო (1), დინამიური მიკროფონი (2) პორტატული პოდიუმით, რადიოსიხშირული ანტენა (2) შეძენა | 22 692,00 | 22 691,40 | 0,60 | - | - | - |
| კონდენსატორული მიკროფონის (4) შეძენა რადიოსათვის | 6 516,00 | 6 140,72 | 375,28 | - | - | - |
| დიქტოფონისა (2) და აუდიო-ვიდეო სიგნალის დამაგრძელებელი მოწყობილობის შეძენა | 1 044,00 | 1 043,12 | 0,88 | - | - | - |
| განათების აპარატურის ნათურების (49) შეძენა | 4 531,60 | 4 531,20 | 0,40 | - | - | - |
| განათების აპარატურის სამაგრის (6) შეძენა | 1 805,40 | 1 805,40 | - | - | - | - |
| დიქტორის ყურსასმენისა (12) და მიკროფონიანი ყურსასმენის (2) შეძენა | 3 519,00 | 3 518,76 | 0,24 | - | - | - |
| **სხვა გადასახდელები** | **79 000,00** | **79 000,00** | **-** | **22 000,00** | **19 404,18** | **2 595,82** |
| არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ | 77 495,74 | 77 495,74 | - | 500,00 | 345,21 | 154,79 |
| საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები | - | - | - | 21 500,00 | 19 058,97 | 2 441,03 |
| დასუფთავების მოსაკრებელი | 1 504,26 | 1 504,26 | - | - | - | - |

## 4. ინფორმაცია მაუწყებლის შემოსავლების შესახებ

2016 წლის განმავლობაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემოსავლებმა დღგ-ს ჩათვლით (დარიცხული) შეადგინა სულ 150 763,87 ლარი, მათ შორის:

1) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლები შეადგენს 94 307,27 ლარს, კერძოდ:
   - → შემოსავლები სატელევიზიო ეთერში პროდუქტის განთავსების (Product Placement) მომსახურებიდან 3 840,00 ლარი;
   - → შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან 89 701,85 ლარი;
   - → შემოსავლები სხვა (არქივიდან მასალის გაცემა) მომსახურებიდან 51,33 ლარი;
   - → კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავლები 14,09 ლარი;
   - → სხვა შემოსავლები (ავტომანქანის რეალიზაცია) 700,00 ლარი.

2) გაეროს დაფინანსების ფარგლებში მიღებული მიზნობრივი გრანტი შეადგენს 32 200,00 ლარს.

3) მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში მიღებული შემოსავლები შეადგენს 24 256,60 ლარს, კერძოდ:
   - → შემოსავლები IFES-ის ("აი ფი ეს/საქართველო") დაფინანსებით 7 500,00 ლარი;
   - → შემოსავლები "ა(ა)იპ ევროპის ფონდი"- ს დაფინანსებით 16756,60 ლარი.

არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში.

❖ არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები




2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბანკო (სახაზინო) ანგარიშზე რიცხულმა ფინანსური სახსრების ნაშთმა შეადგინა 40 839,12 ლარი. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| ნაშთი 01.01.2016 | სადებეტო ბრუნვა | საკრედიტო ბრუნვა | ნაშთი 31.12.2016 |
|---|---|---|---|
| 23 767,93 | 143 333,31 | 126 262,12 | 40 839,12 |

## 5. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

მაუწყებელში სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვა, წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ და შესყიდვების მარეგულირებელი სხვა ნორმები) შესაბამისად.

მაუწყებლის მიერ გამოყენებული შესყიდვის ფორმებია:

- კონსოლიდირებული ტენდერი
- ელექტრონული ტენდერი
- გამარტივებული ელექტრონული ტენდერი
- გამარტივებული შესყიდვები

2016 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ:

1) გამოცხადებული იყო 71 ტენდერი, მათ შორის 5 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 15 არ შედგა, 1 შეწყდა, ხოლო 50 შედგა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები, კერძოდ:
   - 1 ელექტრონული ტენდერი;
   - 49 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

2) განხორციელდა 253 გამარტივებული შესყიდვა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორის:
   - 84 საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
   - 169 სახელმწიფო ბიუჯეტით.

3) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 13 ხელშეკრულება.

❖ **სახელმწიფო შესყიდვების მაჩვენებლები**



## 6. ინფორმაცია მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

1) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ (სახაზინო პროგრამული კოდი 420102) „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" (კანონი #4641-Iს_11/12/2015) საქართველოს კანონით, პროგრამით „მაუწყებლის ხელშეწყობა" (პროგრამული კოდი 42 00) გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განახორციელა საბიუჯეტო სახსრების განკარგვა.

2) „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს:
   - ხარჯები განისაზღვრა 5 789 000,00 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 5 770 938,40 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,69%-ია. მათ შორის:
     - შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული ასიგნება შეადგენდა 1 593 000,00 ლარს. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 579 932,14 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,18%-ია.
   - არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 826 000,00 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 825 513,84 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,94%-ია.

3) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სახელწიფო ასიგნების ფარგლებში ათვისებულმა ბიუჯეტმა შეადგინა სულ 6 596,5 ათასი ლარი. დამატებით მაუწყებელმა ეკონომიკური საქმიანობიდან მიიღო (დარიცხული) შემოსავალი (დღგ-ს ჩათვლით) სულ 150,8 ათასი ლარი.

### დასახული შუალედური/საბოლოო შედეგები

პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს ახალი ამბებისა და მაღალმხატვრული ღირებულების სატელევიზიო და რადიო პროგრამების მიწოდებით ხელის შეწყობა საზოგადოების ინფორმირებულობისათვის, ტელე-რადიო არხის რეიტინგის გაზრდა, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და შემოქმედებითი ცნობიერების ამაღლება.

## მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგები

ა) მაუწყებლის მიერ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- აჭარის რადიოს ტექნიკური გადაიარაღების მიზნით შეძენილ იქნა თანამედროვე ციფრული რადიო პულტი, ციფრული სატელეფონო ჰიბრიდული მოწყობილობა (რისთვისაც სპეციალურად ანალოგური სატელეფონო ხაზი გადაკეთდა VOIP ციფრულ სატელეფონო ხაზად) და მაღალი ხარისხის მიკროფონები, რაც საგრძნობლად ზრდის რადიომაუწყებლობის საეთერო ხარისხს.
- მომზადდა ბაზა რადიო სტუდიიდან (სათანადო აპარატურის შეძენის შემდეგ) რათა განხორციელდეს სატელევიზიო ჩართვა.
- განხორციელდა რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი.
- განახლება ეთერის გრაფიკული გაფორმების (ტიტრი) სადგურების პროგრამული უზრუნველყოფა, მაღალი გაფართოების (FULLHD) გრაფიკის დამუშავებისა და აღწარმოებისათვის.
- განხორციელდა სამაუწყებლო კლასის ენკოდერის შეძენა რადიო სარელეო მოწყობილობით და სამაუწყებლო რესივერი IP რადიოსარელეო ხაზთან შემათანხმებელი ბლოკით.
- აჭარის რადიოსათვის შეძენილია სამი გადამცემი სადგური და ერთი გადამცემი სადგურის მოდულატორი.
- დამონტაჟდა აჭარის რადიოს ახალი გადამცემი ხულოს მუნიციპალიტეტში, არგინეთის გადამცემ სადგურში, გადამცემი მაუწყებლობს FM 104,5 სიხშირეზე და ემსახურება შუახევი-ხულოს საავტომობილო გზას, სხალთის და ღორჯომის ხეობათა ნაწილს.
- დამონტაჟდა აჭარის რადიოს ახალი გადამცემი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სარფის გადამცემ სადგურში, გადამცემი მაუწყებლობს FM 104,5 სიხშირეზე და ემსახურება ბათუმი-სარფის საავტომობილო გზას, სიგნალი ასევე ვრცელდება თურქეთის რესპუბლიკის ნაწილში.
- დამონტაჟდა აჭარის რადიოს ახალი გადამცემი ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლეღვას გადამცემ სადგურში, გადამცემი მაუწყებლობს FM 104,5 სიხშირეზე და ემსახურება ქობულეთის მუნიციპალიტეტის რიგ სოფლებსა და ასევე სიგნალი ვრცელდება გურიისა და სამეგრელოს გარკვეულ ტერიტორიაზე.

- ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე დამონტაჟდა რადიო სიგნალის სატელიტიდან ინტერნეტზე გადამრთველი მოწყობილობა, რითაც განხორციელდა რადიო სიგნალის გადამცემამდე ტრანსპორტირების რეზერვირება.
- შეძენილია ხელის და სამკერდე რადიო მიკროფონული სისტემები და რადიო სიგნალების გამაძლიერებელი მიმღები ანტენა, პროფესიონალური სარეპორტაჟო მიკროფონები ყურსასმენებით, დიქტორის სტუდიური ყურსასმენების კომპლექტი და მაღალი ხარისხის ვიდეო კამერა GO-PRO;
- როგორც ახალი ამბების, ასევე შემოქმედებითი მიმართულებით განახლდა მაუწყებლის ვიდეო-პარკი და შეძენილ იქნა ახალი (ციფრული) ტიპის ვიდეო-კამერები, საფრენი აპარატი ვიდეოკამერით და ვიდეოპროექტორი ეკრანით.
- განხორციელდა ერთიანი საფრთხის მართვის (UTM) მრავალფუნქციური ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობის (ფაერვოლი) ინსტალაცია. ქსელის პროექტირება, დაყოფა დეპარტამენტებად, უსაფრთხოებისა და დაშვებების პოლისების განსაზღვრა, მონიტორინგი.
- შესრულდა და განხორციელდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისათვის სატელევიზიო სისტემის აპარატურული და პროგრამული ნაწილის ინსტალაცია და კონფიგურირება.
- შეძენილ იქნა როგორც მუშა სადგურები (სამონტაჟო კომპიუტერი), ასევე სამონტაჟო ლეპტოპები, რითაც გაუმჯობესდა სამონტაჟოების ხარისხი.
- შეძენილ იქნა სატელევიზიო პროგრამებისათვის გარე მყარი დისკები, ასევე განხორციელდა ციფრული მულტიფუნქციური მონიტორისა და საოფისე LED ტიპის ტელევიზორების შეძენა.
- შეძენილ იქნა და განახლდა ტელევიზიის, რადიოსა და ომბალაურის გადამცემი სადგურებისათვის ელექტრო კვებით უწყვეტად მომარაგებისათვის (UPS) აკუმულატორები.
- 2016 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ახალი სტუდია (მდებარე მ.აბაშიძის N16-18), სადაც დარბაზში ერთდროულად 16 სტუმრის განთავსებაა შესაძლებელი. ეს სტუდია წინასაარჩევნოდ დაეთმო გადაცემას „არჩევნები 2016". ასევე, აუდიტორიულ სტუდიაში დამონტაჟდა განათების ახალშეძენილი სისტემა.
- მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა ტელევიზიის შენობაში საოფისე ოთახებს (ნიუსრუმი, სამონტაჟოები და სხვა) და სააპარატოებს (სტუდიის სააპარატოს გაფართოების ხარჯზე მოეწყო ოთახი სტუმართათვის).

- განხორციელდა ტელევიზიის სტუდიების განახლება (დეკორაციული სამუშაოები), განათებისა და კომუნიკაციის მოწყობა, კერძოდ: ექსპლუატაციაში შევიდა დილის, სამედიცინო, პოლიტიკური და სპორტული გადაცემების სტუდიები.
- ადმინისტარციული შენობის მიმდინარე რემონტის დროს შეძენილ იქნა და დამონტაჟდა კედლის კონდიციონერები, ასევე, განხორციელდა შემდგომი ექსპლუატაციისათვის არსებული კონდიციონერების სარემონტო სამუშაოები.
- გატარდა შესაბამისი ღონისძიებები საჭირო დანადგარების მოწოდებისა და დამონტაჟების მიზნით ბათუმი-თბილისის სარელეო ხაზის ასამოქმედებლად.
- აჭარის რადიოსა და ტელევიზიის სასადილოს სავენტილაციო სისტემის რეაბილიტაციისთვის შეძენილ იქნა 3 ერთეული გამწოვი ვენტილატორი.
- განხორციელდა ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის (AP) მოწყობილობების გამართვა. ასევე, განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა, მონიტორინგი.
- საანგარიშო პერიოდში ოპერატულად და უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით შეძენილ იქნა მაღალი გამავლობის 3 ავტომობილი და 1 მიკროავტობუსი.

ბ) მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის მიერ დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის სისტემა. გატარებული ღონისძიებების შედეგად მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი მიზნები:

→ დაინერგა, როგორც ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, ასევე, სასაწყობო მეურნეობის აღრიცხვის „საწყობისა და მატერიალური მარაგების მართვის" პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს არამარტო ძირითადი საშუალებების, არამედ მატერიალური მარაგების სწორ და სრულფასოვან აღრიცხვას.

→ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს დირექტორის 2016 წლის 08 ნოემბრის №02-03/30 ბრძანების თანახმად ჩატარდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე 2016 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია.

ინვენტარიზაცია ჩატარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დაცვით. აღნიშნული წესის მოთხოვნათა მიხედვით 2016 წლის ინვენტარიზაციას დაექვემდებარა: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე რიცხული ყველა აქტივი, გარდა უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწა) და საბიბლიოთეკო-საინფორმაციო და პროგრამული ფონდებისა. კერძოდ, ინვენტარიზაციას დაექვემდებარა: სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, არაწარმოებული - არამატერიალური, არაფინანსური და ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ასევე, ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობები (საბუღალტრო ანგარიშები: 2121, 2122, 2132, 2220, 2430 და საცნობარო მუხლები 08, 10 და 04), ცალკ-ცალკე უწყისში შევიდა ნულოვანი და ნარჩენი ღირებულების მქონე ამორტიზებული ფასეულობები. კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა ბალანსზე რიცხული ქონების მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გაწერის სისწორე, კერძოდ: მაუწყებლის დირექტორის 2014 წლის 3 იანვრის N01-03/03 და 2016 წლის 09 მარტის N02-03/11 ბრძანებით „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის $35^{10}$ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" -ს სარგებლობაში არსებული ქონება განპიროვნებულია მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე. ფინანსური ეფექტიანობის სამსახურში, დადგენილი წესით შევსებულია საინვენტარიზაციო ბარათები (ელექტრონული ვერსია-ბუღალტრული პროგრამის შესაბამისად, ფორმა №ძს-6). აქტივების გადაცემა ერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირიდან მეორეზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. ფასიანი ქაღალდები (საწვავის ტალონები) დაცულია სეიფში, რომლის ინვენტარიზაცია წარმოებს ყოველთვიურად, მასზე შესაბამისი აქტის შედგენითა და რეგისტრაციით. ინვენტარიზაციის ჩატარების მოქმედი წესის თანახმად, ადგილზე, კომისიის მიერ მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით, ჩატარებული ინვენტარიზციის შედეგად შედგა 70 (შედარების) უწყისი (ფორმა№ ინვ-1) და დადგინდა შემდეგი:

- ფაქტობრივ და ბუღალტრულ მონაცემებს შორის სხვაობა (მეტობა ან ნაკლებობა) არ დაფიქსირებულა, რაც აისახა ინვენტარიზაციის შედეგების აქტში (ფორმა №ინვ-2).
- ინვენტარიზაციის შედეგად სულ აღწერილია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" -ს ბალანსზე 2016 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით რიცხული 3 256 354,07 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების არაფინანსური აქტივები, მათ შორის:

  ა) ძირითადი ფონდები (ანგარიში-2120), 3 193 915,19 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულება, მათ შორის:

  - „სატრანსპორტო საშუალებები" (ანგარიში-2121), ნარჩენი საბალანსო ღირებულება 209 049,91 ლარი;
  - „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი" (ანგარიში-2122), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 2 984 865,27 ლარი;

  ბ) „სხვა ძირითადი საშუალებები" არაწარმოებული ძირითადი აქტივები (ანგარიში-2132), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 45 629,92 ლარი.

  გ) „სხვა ბუნებრივი აქტივები" (ანგარიში-2430 ), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 15 847,96 ლარი;

- ასევე ინვენტარიზაციის შედეგად აღწერილია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსის საცნობარო მუხლში 2016 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით რიცხული:

  ა) ამორტიზირებული ძირითადი აქტივები (08 ანგარიში), 4 ერთეული;

  ბ) ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (10 ანგარიში), ღირებულებით 218 104,61 ლარი (აქედან, ინვენტარიზაციას დაექვემდებარა 191 769,38 ლარის აქტივი, დანარჩენი 26 335,23 ლარი გადამცემ სადგურებზე განთავსებული აქტივის ღირებულებაა).

  გ) ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში (04 ანგარიში), ღირებულებით 39 396,46 ლარი (აქედან, ინვენტარიზაციას დაექვემდებარა 38 896,42 ლარის აქტივი, დანარჩენი 500,04 ლარი გადამცემ სადგურებზე განთავსებული აქტივის ღირებულებაა).

→ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ" $35^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ით) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სავარაუდო საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში (მშპ

შესაბამისად) გარდამავალ ეტაპზე მუხლობრივ ბიუჯეტთან ერთად პარალელურად მაუწყებლის დირექციასთან სამუშაო შეხვედრების, სამსახურის ხელმძღვანელების მიერ დაყენებული საკითხების, მიმდინარე და შემდგომი წლების პრიორიტეტების მიხედვით დაიგეგმა შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცების შესახებ 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტი.

→ პროგრამული ბიუჯეტის ფორმირების პროცესისა და ეფექტური კონტროლისათვის მაუწყებლის, როგორც სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე მრჩეველთა საბჭოსთან ერთად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ისეთი დოკუმენტების შემუშავების, როგორიცაა:

- მაუწყებლის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- მაუწყებლის რესურსების განვითარების სტრატეგია;
- საშუალოვადიანი მიზნების მისაღწევად პრიორიტეტების განსაზღვრის დოკუმენტი;
- ბიუჯეტის შესრულების, დირექტორის საქმიანობის ყოველკვარტალური, მათ შორის ფინანსური და ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების ფორმების შედგენის, მისი წარდგენისა და განხილვის წესი.

## მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგების ინდიკატორები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებითა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობის განაწილება და მიზნობრივი ხარჯვა, სატელევიზიო და რადიო აპარატურის სწორი ექსპლუატაცია და გეგმაზომიერი განახლება/შეძენა და შეკეთება, სატელევიზიო და რადიო სტუდიების მოწყობა. თავისი კომპეტენციისა და დაფინანსების ფარგლებში განახორციელა მაუწყებლის საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

*რაულ ბერიძე*

*ფინასური ეფექტიანობის სამსახურის უფროსი*